საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990173137457721

№09/1632 **19 / მაისი / 2021 წ.**

სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს გაყიდვების მხარდაჭერის
სამსახურის უფროსს ბ-ნ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2021 წლის 14 აპრილის N6/21588 კორესპონდენციის პასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში მდებარე 32638.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ N88.02.30.117) და 3316.00 კვ.მ სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N88.02.32.178) განკარგვის საკითხს გაცნობებთ, რომ განსაკარგავი მიწის ნაკვეთები (ს/კ N88.02.30.117; ს/კ N88.02.32.178) არ ექცევა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ძეგლის დამცავ ზონაში. შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

თუმცა, ასევე გაცნობებთ, რომ ერთ-ერთი განსაკარგავი მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N88.02.30.117) დაახლ. 25, 70 და 90 მეტრში მდებარეობს სამი ობიექტი (გისბაზის კოდით: 16505- კურორტ შოვის შესასვლელი ჭიშკარი; 16152- ვილა I; 16504- თეთრი სახლი), ხოლო, მეორე მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N88.02.32.178) დაახლ. 180 მეტრში მდებარეობს ერთი ობიექტი (გისბაზის კოდით: 16506- სამხედრო ჰოსპიტალი), რომელთაც არ აქვთ მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, თუმცა ისინი ხასიათდებიან კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნიშნებით, ამიტომ მნიშვნელოვანია აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული იქნას მითითებული მიწის ნაკვეთების შემდგომი განვითარების პროცესში.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა გაფრინდაშვილი